ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2020 წლის 7 აპრილი

დაბა ადიგენი

დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის- გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და 141-ე მუხლის მე-12 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 იანვრის № 260 და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებების შესაბამისად ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) დაბა აბასთუმნის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია – ტექსტური ნაწილი (დანართი №1);

ბ) დაბა აბასთუმნის გენერალური გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი №2);

გ) დაბა აბასთუმნის განაშენიანების გეგმები თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი №3);

დ) დაბა აბასთუმნის განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების პირობები (დანართი №4);

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — იმედა მღებრიშვილი